ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4076887

ნომერი: AR1615729

თარიღი : 12.07.2018

გაცემის თარიღი : 18.07.2018

გაცნობის თარიღი : 18.07.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა , გროზნო , N 11ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა კარტოზია პ/ნ 02001000428
- აბაშა თამარ მეფის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4054436
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.07.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს : სამსახურმა ერთხელ უკვე განიხილა ატვირთული დოკუმენრაციის საფუძველზე თქვენი საკითხი (15/05/2018 წ. AR1600863 განცხადება) და პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი წერილებში ასახული ინფორმაციის მიხედვით „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 251 მუხლის, ამ დადგენილების 45-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით, მოგეცათ რეკომენდაცია 120 კალენდარული დღის ვადაში, წერილში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად და ასევე მოგეცათ შესაძლებლობა 28.04.2017წ. №3234345 ბრძანებით შეთანხმებული პროექტში, მითითებული დარღვევების გათვალისწინებით, შეგეთანხმებინათ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და მიგეღოთ მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის მიერ 2018 წლის 06 ივნისს №4054436 ბრძანებით ქ. თბილისში, გროზნოს ქუჩა N 11ა-ში, ს/კ N 01.16.03.051.021 არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა სანებართვო მოწმობა ანუ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს წერილის (17-01180943616) საფუძველზე ,საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებები უკვე განხორციელდა, ამიტომ საჭიროა ხელახლა მიიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს და მოითხოვოთ სამსახურის 2018წ 06 ივნისს №4054436 ბრძანების საფუძველზე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება და მათი უარის შემთხვევაში მომართოთ სამსახურს და მოითხოვოთ დარღვევით განხორციელებული მშენებლობის დადასტურება .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა .

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge